

სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტი  
ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეა  
**DFID**

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების კონცეფცია

(პროექტი მომზადებულია საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის ხელშეწყობით, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ, პროგრამა “გზა აღიარებისაკენ” ფარგლებში. არსებული თეზისები შემუშავებულია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილისა და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძესთვის წარსადგენათ, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე ეროვნული სტრატეგიის კორექტირებისათვის შემდგომი გამოყენების მიზნით.)

## შესავალი

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო საკითხს თანამედროვე საქართველოს განვითარებისათვის, რომელმაც ორიენტაცია აიღო მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაზე. ამიტომ, გამოკვლევის ავტორთა მიერ, მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილი მიდგომა სწორედ თანამედროვე ჰუმანიტარულ ფასეულობებს ეყრდნობა და ითვალისწინებს აფხაზეთის კონფლიქტის განხილვას დემოკრატიული და არა ვიწრო ეთნოცენტრისტული მიდგომის პრიზმით. პოლიეთნიკური აფხაზეთის საზოგადოება, მთელი საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობა არჩევანის წინაშე დგანან – როგორი უნდა იყოს მომავალი აფხაზეთი – დემოკრატიული თუ ეთნოკრატიული სახელმწიფო წარმონაქმნი?

## კონფლიქტის საერთო ხედვა – ძირითადი თეზისები

სტრატეგიული ამოცანა – აფხაზეთში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესის ხელშეწყობა, აფხაზეთის ხალხის კეთილდღეობისათვის, საქართველოს, სამხრეთ კავკასიის და მთლიანად კავკასიის რეგიონების სტაბილური და მდგრადი განვითარებისათვის;

აფხაზეთის ხალხი წარმოადგენს აფხაზეთის სახელმწიფო წარმონაქმნის პოტენციურ მოქალაქეთა გაერთიანებას, რომლებიც დღესდღეობით აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან ან, კონფლიქტის გამო, იძულებულნი არიან დროებით მის ფარგლებს გარეთ იცხოვრონ;

აფხაზეთის საზოგადოება არის მრავალშემადგენლობრივ – პოლიკულტურული, პოლიეთნიკური, პოლიკონფესიონალური. კონფლიქტების განვითარების შედეგად განხლეჩილობის დონე გაიზარდა. აფხაზეთის საზოგადოება გახდა ღრმად განხლეჩილი.

აფხაზეთის კონფლიქტი წარმოადგენს სხვადასხვა სახის გადაჯაჭვულ კონფლიქტთა რთულ სისტემას. კონკრეტულად კი შემდეგის:

1. სულიერ-იდეოლოგიური (საკუთარი ფასეულობების თავზე მოხვევა);
2. პოლიტიკურ-სამართლებრივი (ძალაუფლებისა და გავლენის გაყოფა) და;
3. სოციალურ-ეკონომიკური (რესურსების გაყოფა) ხასიათის;

თითოეულ ზემოაღნიშნულ კომპონენტს (ქვესისტემას), მოწესრიგების პროცესის ფარგლებში, საკუთარი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანალიზში, შემდგომი ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებაში და საქმიანობაში. ამიტომ, მოწესრიგების კონცეფციამ მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც თითოეული მათგანი, ისე ურთიერთკავშირები მათ შორის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ ფასეულობათა რომელ სისტემაში განიხილება კონფლიქტი. ფასეულობათა საერთო სისტემის ამორჩევა სამშვიდობო პროცესის წარმატების და მოლაპარაკებათა პროცესის მოსამზადებელი ფაზის წარმატების თავისებურ გარანტიას წარმოადგენს. გამოკვლევის ავტორები გამოხატავენ რწმენას, რომ კონფლიქტის ანალიზის დროს ეთნოცენტრისტული განწყობებიდან საერთო დემოკრატიულ განწყობებზე გადასვლა, აფხაზეთის რთული და მრავალშემადგენლობრივი საზოგადოების თითოეული ელემენტის უფლებების და ინტერესების, და ასევე გარე ავტორთა ინტერესების გათვალისწინება, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების დაჩქარებაზე მიგვიყვანს.

### პოლიტიკური კონფლიქტების ტიპები

- გავრცელების სფერო (შიდაპოლიტიკური და საგარეო პოლიტიკური)
- პოლიტიკური სისტემის ტიპი (ტოტალიტარული და დემოკრატიული სისტემების კონფლიქტები)
- კონფლიქტის საგნის ხასიათი (ინტერესთა კონფლიქტები, სტატუსის და როლის, ასევე ფასეულობათა და იდენტურობის კონფლიქტები)

## აფხაზეთის კონფლიქტის გავრცელების შიდაპოლიტიკური და საგარეო პოლიტიკური სფეროები

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური შემადგენელი მრავალდონობრივია (ზუთსართულიანი). მოდელის ძირითადი დონეები შემდეგია:

1. კონფლიქტი აფხაზეთის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის დონეზე, გახლეჩილი აფხაზეთის საზოგადოების პოლიტიკურ ელიტებს შორის, რომლებიც ფორმირების სხვადასხვა სტადიებზე იმყოფებიან (სისტემა სოხუმი-სუხუმი);
2. კონფლიქტი “ცენტრი – ავტონომია” (სისტემა სოხუმი-თბილისი-სუხუმი);
3. რეგიონული (კავკასიური) კონფლიქტი;
4. სახელმწიფოებს შორის კონფლიქტი (საქართველო-რუსეთი, საქართველო-სასომხეთი, საქართველო-თურქეთი);
5. საერთაშორისო კონფლიქტი მრავალი სუბიექტის (ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების) მონაწილეობით;

- მოცემულ მიდგომაში, აფხაზეთის მოსახლეობა დაყოფილია არა ეთნიკური საზღვრების, არამედ ამა თუ იმ პოლიტიკური ორიენტაციისადმი მიკუთვნების მიხედვით: სეცესიის მომხრეები და სეცესიის მოწინააღმდეგეები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყარაბაღის ან სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან შედარებით, ამ კონფლიქტში დაპირისპირების პოლიტიკური სემანტიკები ბევრად უფრო ნაკლებად ემთხვევა ეთნიკურ საზღვრებს.
- ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტის ე.წ. „მეორე სართულზე“ თბილისის ცენტრი უნდა ეცადოს „პირველი სართულის“ კონფლიქტური სიბრტყიდან გამოსვლას და „მეორე სართულზე“ გადასვლას. თბილისის ცენტრის მისია უნდა შეიცვალოს და იგი უნდა ეცადოს ამის შედეგად მედიატორის სტატუსი მიიღოს. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის მოცემულ ეტაპზე ეს უაღრესად რთული მისაღწევი იქნება, ამისადმი მისწრაფება საფუძვლად უნდა დაედოს დარეგულირების დოქტრინას და იყოს კონფლიქტის დეესკალაციისა და ლოკალიზაციის პროცესის დაწყების მთავარი ფაქტორი, და არა მისი კიდევ უფრო ინტერნაციონალიზაცია. ჩვენი აზრით, სწორედ კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია და მისი ფაქტიური ესკალაცია არის კონფლიქტის ზედმეტი ეთნიზაციის შედეგი.
- თბილისის ცენტრისა და სეცესიის მოწინააღმდეგეთა (აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი) ინტერესების გაიგივებამ გამოიწვია სეცესიონისტთა მიერ ჩრდილო-კავკასიულ ერთა და რუსეთის სამხრეთი ნაწილის მცხოვრებთა შორის მომხრეთა ძიების პროცესი, და ასევე ხელი შეუწყო ირედენტისტული და სეპარატისტული მიმდინარეობების და შესაბამისი პოლიტიკური კონცეფციების განვითარებას („მესამე სართული“).
- ამან განაპირობა შემდგომში პირდაპირი ან არაპირდაპირი, რიგ შემთხვევებში უაღრესად უხეში ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში მოსაზღვრე სახელმწიფოების – რუსეთის, თურქეთისა და სომხეთის მხრიდან, რომელთაც ისტორიულად სტრატეგიული ინტერესები გააჩნიათ აფხაზეთში („მეოთხე სართული“).
- ამგვარად, აფხაზეთის კონფლიქტმა სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის ხასიათი მიიღო, რამაც აიძულა ცენტრალური ხელისუფლება, დაბალანსების მიზნით, ეცადა ჩაერთო პროცესში სხვა მოკავშირე ქვეყნები ან საერთაშორისო ორგანიზაციები. სწორედ ეს განსაზღვრავს მოცემული კონფლიქტის დღევანდელ სტატუსს, როგორც საერთაშორისო კონფლიქტისას.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ მოვლენები არ ვითარდებოდა ისე “სწორხაზოვნად”, როგორც ეს ზემოთ არის წარმოდგენილი, არამედ თითოეულ „სართულზე“, ადგილი ჰქონდა მოვლენათა ავტონომიურ განვითარებას, რომლებიც ხელს უწყობდნენ კონფლიქტის პოლიტიკური შემადგენლის ესკალაციას. მოცემული „ზუთსართულიანი მოდელი“ შესაძლებელია საფუძვლად დაედოს პოლიტიკური კონფლიქტის სისტემურ აღქმასა და ამ ხედვის ადეკვატური მოლაპარაკებათა პროცესის აგებას, ასევე მისი მოგვარებისათვის აუცილებელი რესურსების უფრო ეფექტურ განაწილებას.

## ტოტალიტარული და დემოკრატიული სისტემების კონფლიქტი

აფხაზეთის მოსახლეობა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად:

1. ცენტრალისტები (აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფის მოწინააღმდეგენი)
2. სეცესიონისტები (გამოყოფის მომხრენი)

პრინციპულად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყარაბაღის და რიგი სხვა კონფლიქტებისაგან განსხვავებით, აფხაზეთის საზოგადოების ეთნიკური სეგმენტაცია არ ემთხვევა პოლიტიკურ დაყოფას სეცესიონისტებად და ცენტრალისტებად.

შესაძლებელია შემდეგი პოლიტიკური ქვეჯგუფების გამოყოფა:

- სეპარატისტები, რომლებსაც სურთ საქართველოსაგან გამოყოფა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა;
- ირედენტისტები, რომლებსაც სურთ საქართველოსაგან გამოყოფა და რუსეთთან გაერთიანება;
- რეგიონალისტები, რომელთაც ორიენტაცია აქვთ აღებული კავკასიის მთელი ხალხების კონფედერაციის შექმნაზე;
- კონფედერალისტები, რომლებსაც სურთ კონფედერატიული ურთიერთობები სოხუმსა და თბილისს შორის;
- ფედერალისტები, ვისაც ფედერატიული სახელმწიფოს მშენებლობა სურს;
- უნიტარისტები, ვისაც უნიტარული ქართული სახელმწიფოს მშენებლობა სურს;
- ავტონომისტები, რომლებსაც სურთ დაუბრუნდნენ ცენტრსა და ავტონომიას შორის ურთიერთობების საბჭოთა მოდელს.

აფხაზეთის მოსახლეობის მოცემული დაყოფა შეიძლება პოლიტიკურ ქვეჯგუფად ნათლად გვაჩვენებს და ამტკიცებს, რომ არც აფხაზეთის სეცესიონისტური ხელისუფლება, რომელიც ამჟამად ამ ყოფილი საბჭოთა ავტონომიის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს აკონტროლებს, არც აფხაზეთის უზენაესი საბჭო (დევნილი ხელისუფლება), არ ფლობენ ლეგიტიმურობის საკმარის დონეს. ისინი არ შეიძლება აღიარებულნი იყვნენ ლეგიტიმურ ხელისუფლებად, რომელიც აფხაზეთის მთელი მრავალშემადგენლობრივი საზოგადოების აზრს გამოხატავს. თუმცა თითოეულ ამ პოლიტიკურ ინსტიტუტს, განსაკუთრებით საზოგადოების საკუთარ ნაწილში ლეგიტიმურობის საკმარისი დონე გააჩნია, სერიოზული შიდა ოპოზიციის მიუხედავად. აფხაზეთის საზოგადოებაში ღრმა განხილვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის პარალელური სოციალური ინფრასტრუქტურის არსებობა. ეს მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, უმაღლეს სასწავლებლებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ძალოვან სტრუქტურებს (არაფორმალური დაჯგუფებების ჩათვლით) და ა. შ.

ამგვარ მდგომარეობას არა აქვს ადგილი სხვა კონფლიქტურ ზონებში და ამ ფაქტორის არგამოყენება, ასევე რომელიმე ამ ორგანიზაციათაგანის შეგნებული განადგურება ან მათი განვითარების შეფერხება, ლატენტურ ეტაპზე დაპირისპირების გაძლიერებამდე მიგვიყვანს, ხელს შეუწყობს ძალადობის სხვადასხვა ფორმების განვითარებას, დივერსიების, ტერორისტული აქტების და ა. შ. ჩათვლით.

ტოტალიტარული განწყობები, აფხაზეთის განხილული საზოგადოების თითოეული ნაწილის პოლიტიკურ ელიტებში, ხელს უწყობს ორიენტაციას რომელიც მიმართულია პოლიტიკურ ბატონობაზე და მთელი საზოგადოების სრულ დამორჩილებაზე - მისი ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური, სულიერი და ყოფითი ცხოვრებისაც კი. და ეს გავრძელდება მანამ, სანამ ორივე პოლიტიკური ელიტა არ დარწმუნდება რომ აუცილებელია მმართველობის სწორედ დემოკრატიული, და არა ტოტალიტარული, მექანიზმების გამოყენება და სანამ ისინი არ მივლენ ერთიან სტრატეგიულ ამოცანამდე, რაც აფხაზეთში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში მდგომარეობს.

**პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების კლასიკური  
პრინციპები, რომლებიც ადაპტირებულია აფხაზეთის  
კონფლიქტისათვის:**

1. პოლიტიკური კონფლიქტის სუბიექტების განსაზღვრა და მათი აღიარება (ურთიერთ აღიარების ჩათვლით), სასურველია საერთაშორისო თანამეგობრობის დონეზე;
2. კონფლიქტის ლეგიტიმაცია – კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მიერ თვითონ პრობლემის (კონფლიქტის ობიექტის) არსებობის აღიარება, რომელიც მოითხოვს განხილვას და მოგვარებას;
3. კონფლიქტის ინსტიტუციონალიზაცია – მხარეთა მიერ ცივილიზებული კონფლიქტური ქცევის წესების, ნორმების, რეგლამენტის შემუშავება;
4. კონფლიქტის სამართლებრივ სიბრტყეში გადატანის ორიენტაცია (თუ არსებობს ამის აუცილებლობა და შესაძლებლობა);
5. კონფლიქტის მხარეების პოლიტიკური ინტერესების დივერსიფიცირება – როგორც ურთიერთშეხების და გადაკვეთის წერტილების გაზრდის საშუალება და საერთო სტრატეგიული მიზნის დასახვა, რომელიც თანხვედრაშია მხარეთა ძირეულ ინტერესებთან და მათ გარემომცველ მიკრო და მაკრო გარემოსთან;
5. შუამავლობის ინსტიტუტებს შემოღება მოლაპარაკებების პროცესის ორგანიზების დროს;
7. კონფლიქტის დარეგულირების საინფორმაციო უზრუნველყოფა, ანუ ღიაობა და გამჭვირვალობა მოლაპარაკებების პროცესში, კონფლიქტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებულ მოქალაქეთათვის, ამ ინფორმაციის ობიექტურობა და სხვა.

ეს შვიდი პრინციპი გამოყენებული უნდა იქნას აფხაზეთის კონფლიქტის „ხუთსართულიანი“ მოდელის თითოეულ სართულზე.

**კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ზოგიერთი ძირითადი  
პირობა, რომელიც მოცემული იყო მოხსენებაში, აფხაზეთის  
სტატუსის განსაზღვრის საკითხზე საპარლამენტო კომისიის  
სხდომაზე**

1. იმის აღიარება, რომ აფხაზეთი არის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომლის მრავალშემადგენლობრივ, იძულებით გახლეჩილ საზოგადოებას შეადგენენ მის ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ასევე ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები.
2. იმის აღიარება, რომ აფხაზეთის საზოგადოება გაყოფილია ორ იდეოლოგიურ ბანაკად: “სეცესიონისტების” ბანაკი, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საქართველოსაგან გამოყოფაზე და რუსეთთან გაერთიანებაზე და “ცენტრალისტების ბანაკი”, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე. პირველი ბანაკი ვერ აღწევს საერთაშორისო აღიარებას, მიუხედავად იმისა რომ ისინი ტერიტორიის უმეტესობას აკონტროლებენ, ხოლო მეორე ბანაკს არ გააჩნია საშუალება სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

3. ამ მიმდინარეობათა ლიდერების მიერ ერთმანეთის არსებობის ფაქტის აღიარება და ამავდროულად იმის გათვითცნობიერება, რომ ისინი მიეკუთვნებიან აფხაზეთის ერთ საზოგადოებას და აფხაზეთის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, რომლის მომავლის შექმნაშიც მათ თანაბარი უფლებები გააჩნიათ.
4. მოლაპარაკებათა პროცესის დაწყება “სეცესიონისტთა” და “ცენტრალისტთა” შორის. ხელისუფლების პარალელური შტოების, ასევე პარალელური სოციალური ინსტიტუტების, მაგ. უნივერსიტეტების, მას მედიის და ა.შ., ფაქტობრივი არსებობის აღიარება ორივე მხარის მიერ.
5. “ორხელისუფლებიანობის” ფორმალიზაციის მცდელობა და თანამშრომლობის პროცესის დაწყება ხელისუფლების პარალელურ შტოებს, ასევე პარალელურად მოქმედი სხვა სოციალური ინსტიტუტების წარმომადგენლებს შორის, რაც შექმნის იმის გარანტიას, რომ ორიდან ერთი კი არ მოისპობა, არამედ პარალელურად იარსებებს მომავალში. ეს მოგვცემს სამშვიდობო პროცესში ყველა დონის ლიდერის ჩაბმის საშუალებას, მითუმეტეს რომ თითოეული მათგანი ერთმანეთთან დაკავშირებულია პროფესიული ან ვიწრო დარგობრივი ინტერესებით.